

ღამატებული ღირებულების გადასახადის აღრიცხვის თავისებურებები

PECULIARITIES OF ACCOUNTING FOR VALUE ADDED TAX

ნადეჟდა კვატაშიძე,

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

ლევან საბაური,

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველო, თბილისი

NADEZHDA KVATASHIDZE,

Doctor of Economic Sciences, Associate
Professor Ivane Javakhishvili Tbilisi State
University, Tbilisi

LEVAN SABAURI

Doctor of Economic Sciences, Associate
Professor Ivane Javakhishvili Tbilisi State
University, Tbilisi

ანოტაცია

ღამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) — საერთო-სახელმწიფოებრივი, არაპირდაპირი გადასახადია, რომელიც წარმოადგენს საქონლის/მომსახურების, წარმოებისა და განაწილების ყველა სტადიაზე ღამატებული ღირებულების ნაწილის ბიუჯეტში ამოღების ფორმას. დღგ-ს გადამხდელეები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც სავალდებულო წესით ან ნებაყოფლობით რეგისტრირებულნი არიან დღგ-ს გადამხდელეებად.

დღგ არაპირდაპირი მრავალსაფეხურიანი გადასახადია, რომლის გადახდა ხორციელდება მომსახურების, საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის თითოეულ ეტაპზე და მას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს.

დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება დღგ-ის გადამხდელის მიერ მიღებული ან მისაღები კომპენსაციის თანხის მიხედვით, დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება საქონლის მიწოდების ან მომსახურების განწევის მომენტი, მაგრამ, არაუგვიანეს მისაწოდებელი საქონლის საკომპენსაციო თანხის ან თანხის ნაწილის გადახდის მომენტისა, თუ თანხის გადახდა ხორციელდება საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების განწევამდე.

საქონლის მიწოდებამდე საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის გადახდის შემთხვევა-

ში, ოპერაცია მიღებული საკომპენსაციო თანხის ოდენობით ექვემდებარება დღგ-თ დაბეგვრას თანხის მიღების მომენტში. პირის მიერ გადახდილი თანხა ჩაითვლება საკომპენსაციო თანხად და ოპერაცია დაექვემდებარება დღგ-თ დაბეგვრას, თუ თანხის მიღების მომენტში სახეზეა საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ყველა პირობა.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი მნიშვნელოვანი ცვლილებები შეეხო დღგ-საც, შეიცვალა ან დაზუსტდა დღგ-თ დაბეგვრასთან დაკავშირებული ზოგიერთი პარამეტრი, რამაც შესაბამისი ასახვა უნდა ჰპოვოს გადასახდელი, გადახდილი თუ ჩასათვლელი დღგ-ს აღრიცხვასა და დეკლარირებაში.

საკვანძო სიტყვები: ღამატებითი ღირებულების გადასახადი; საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა, საბუღალტრო, საგადასახადო ანგარიშგება, საჯარო ფინანსები, ესტონური მოდელი

ABSTRACT

Value added tax (VAT) - important indirect tax to the state is a form of tax collection that is assessed incrementally on each stage of production, sale of goods and provision of services. VAT taxpayer is either a physical person or a legal entity and the

registration as a VAT taxpayer is either mandatory or voluntary.

VAT is an indirect multi-stage tax, payable on each stage of production, sale of goods and provision of services, represents one of the most prominent components in the formation of Georgia's state budget.

VAT taxable base is determined based on compensation received or compensation to be received by VAT taxpayer. Tax period for VAT purposes is deemed to be the time of supply of goods or provision of services, but no later than receiving full or partial compensation for the supply of goods or provision of services, in case the payment is made before the goods are supplied or services are rendered.

If full or partial payment is made before the supply of goods, the compensation that has been received is subject to VAT at the time of receiving such compensation. The amount of such compensation paid is the taxable base of VAT, as long as all the other Georgian Tax Code requirements are met at the time of receiving such compensation.

During the recent period, important amendments have been made to the Georgian Tax Code in terms of VAT, several parameters related to VAT have either been changed or clarified, which require pertinent representations for accounting and declaration purposes of input and output VAT.

Keywords: Value Added Tax; Georgian Tax Legislation, Accountitng, Tax Reporting, Public Finance, Estonian Model

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) — საერთო-სახელმწიფოებრივი, არაპირდაპირი გადასახადია, რომელიც წარმოადგენს საქონლის/მომსახურების, წარმოებისა და განაწილების ყველა სტადიაზე დამატებული ღირებულების ნაწილის ბიუჯეტში ამოღების ფორმას.

თანამედროვე საგადასახადო სისტემაში დღგ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადასახადია. მისი აკრეფის სქემა პირველად ფრანგმა ეკონომისტმა **მორის ლორემ** შეიმუშავა 1954 წელს, ხოლო საფრანგეთის საგადასახადო სისტემაში 1958 წლიდან შემოიღეს. ამჟამად დღგ შემოღებულია დაახლოებით 137 სახელმწიფოში, თუმცა განვითარებული ქვეყნებიდან მათში არ შედის აშშ და იაპონია, სადაც დღგ-ს ნაცვლად

მოქმედებს გადასახადი გაყიდვებიდან (3%-დან 15%-მდე). საგულისხმოა, რომ ქვეყნის საგადასახადო სისტემაში დღგ-ს არსებობა ევროკავშირში შესვლის სავალდებულო წინაპირობა.

საქართველოში დღგ შემოღებულია 1992 წლის 15 მარტიდან, თავდაპირველად საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 25 %-ს. 1997 წლის 13 ივნისიდან საპროცენტო განაკვეთი შემცირდა და შეადგინა 20%, ხოლო 2005 წლის 1 ივლისიდან დღემდე საპროცენტო განაკვეთი 18% შეადგენს.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საწარმოსათვის არაპირდაპირი გადასახადია და წარმოადგენს ყველა დასაბეგრი საქონლის ან მომსახურების ღირებულების ნაწილის სავალდებულო შენატანს ბიუჯეტში. დღგ-ით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი ოპერაცია და დასაბეგრი იმპორტი. დღგ-ს გადამხდელები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც სავალდებულო წესით ან ნებაყოფლობით რეგისტრირებული არიან დღგ-ს გადამხდელებად.

დამატებული ღირებულების გადასახადის (შემდგომში – დღგ) გადამხდელად ითვლება:

- პირი, რომელიც რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად;
- პირი, რომელიც ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად;
- პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის იმპორტს ან დროებით შემოტანას საქართველოში, მხოლოდ ამ იმპორტზე ან დროებით შემოტანაზე, რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე;
- არარეზიდენტი (გარდა საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირისა), რომელიც ეწევა მომსახურებას საქართველოში დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისა და საქართველოში საგადასახადო აღრიცხვაზე მყოფი არარეზიდენტის მუდმივი დანესებულების გარეშე, მხოლოდ ამ მომსახურებაზე და ექვემდებარება უკუდაბეგვრას;
- პირი, რომელიც სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში ახორციელებს მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (საქონლის) კრედიტორის საკუთრებაში გადაცემას მხოლოდ ამ ოპერაციაზე და ექვემდებარება უკუდაბეგვრას, რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე;

- პირი, რომლის საქონლის რეალიზაციაც ხდება საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში ან სხვა ფულადი ვალდებულების (გარდა სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით დაკისრებული სანქციებისა) გადახდევინების მიზნით, აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით, მხოლოდ ამ ოპერაციაზე, რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე;
- პირი, რომლის სამეურვეო ქონების რეალიზაციაც ხდება „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით, მხოლოდ ამ ოპერაციაზე, რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე.

ბუღალტრულ აღრიცხვაში ერთმანეთს უნდა გაემიჯნოს გადასახდელი (ანგარიში 3330) და გადახდილი (ანგარიში 3340) დღგ. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ მოიხსენიება, როგორც გადასახდელი დღგ, ხოლო შესყიდვებთან დაკავშირებული, როგორც გადახდილი ანუ ჩასათვლელი დღგ. სხვაობა გადასახდელ და ჩასათვლელ დღგ-ს თანხებს შორის არის ბიუჯეტში გადასახდელი დღგ.

დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება დღგ-ის გადამხდელის მიერ მიღებული ან მისაღები კომპენსაციის თანხის მიხედვით, დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება საქონლის მიწოდების ან მომსახურების განევის მომენტი, მაგრამ, არაუგვიანეს მისაწოდებელი საქონლის ან გასაწევი მომსახურების საკომპენსაციო თანხის ან თანხის ნაწილის გადახდის მომენტისა, თუ თანხის გადახდა ხორციელდება საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების განევაამდე.

ბიუჯეტში შესატანი დღგ მოიცავს:

1. დასაბეგრი ბრუნვიდან ბიუჯეტში შესატან დღგ-ის თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა დასაბეგრი ბრუნვაზე დარიცხულ დღგ-ის თანხასა და ჩასათვლელ დღგ-ის თანხებს შორის;
2. საქონლის იმპორტისას ბიუჯეტში შესატან დღგ-ის თანხას;
3. საქონლის დროებითი შემოტანისას ბიუჯეტში შესატან დღგ-ის თანხას;

4. უკუდაბეგვრის წესით დასაბეგრი ოპერაციიდან ბიუჯეტში შესატან დღგ-ის თანხას.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით ჩასათვლელი დღგ-ს თანხა არის ის თანხა, რომელიც გადახდილია ან გადასახდელია დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით. მაშასადამე, დღგ-ს ჩათვლა შესაძლებელია იმის მიუხედავად, მომწოდებლის დავალიანება დაფარულია თუ არა.

ფასეულობების გაყიდვიდან მიღებული ამონაგები შეიცავს ბიუჯეტისათვის გადასახდელ დღგს თანხას. ე.ი. ერთდროულად წარმოიქმნება შემოსავალი რეალიზაციიდან და დავალიანება ბიუჯეტის წინაშე.

ბასს-თ დარიცხვის მეთოდის მიხედვით, სამეურნეო მოვლენებისა და ოპერაციების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე, მაშასადამე საქონელი გაყიდულად ითვლება მიწოდებისთანავე. შესაბამისად, საგადასახადო კოდექსით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება საქონლის/მომსახურების მიწოდების მომენტი, და საკომპენსაციო თანხის ნაწილის გადახდის მომენტი (ავანსი) რაც ნიშნავს, რომ დღგ-ს გადახდის ვალდებულება დგება საქონლის ან მომსახურების მიწოდებისთანავე ან ავანსის თანხის მიღების მომენტში.

საქონლის მიწოდებამდე, ან მომსახურების განევაამდე საკომპენსაციო თანხის (თანხის ნაწილის) გადახდის შემთხვევაში, ოპერაცია მიღებული საკომპენსაციო თანხის ოდენობით ექვემდებარება დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრას თანხის მიღების მომენტში. პირის მიერ გადახდილი თანხა ჩაითვლება საკომპენსაციო თანხად და ოპერაცია დაექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას, თუ თანხის მიღების მომენტში სახეზეა ყველა შემდეგი პირობა:

1. განსაზღვრულია მისაწოდებელი საქონელი ან გასაწევი მომსახურება;
2. განსაზღვრულია მისაწოდებელი საქონლის (გასაწევი მომსახურების) მოცულობა;
3. განსაზღვრულია მისაწოდებელი საქონლის (გასაწევი მომსახურების) ღირებულება;
4. განსაზღვრულია მისაწოდებელი საქონელი (გასაწევი მომსახურება) წარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრი თუ გათავისუფლებულ ოპერაციას.

იმ შემთხვევაში, თუ დადგენილია პირობები, მაგრამ მხარეთა შეთანხმებით საქონლის მიწოდებამდე (მომსახურების განწვევამდე) განხორციელდა საკომპენსაციო თანხის გადახდა და საკომპენსაციო თანხის მიღების საანგარიშო პერიოდზე გამოწერილია დღგ-ის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, დღგ-ით დაბეგვრის დრო არის საკომპენსაციო თანხის მიღების მომენტი.

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს გადახდილ თანხაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაითვალოს მისაწოდებელ საქონელზე (გასაწევ მომსახურებაზე) გადახდილი დღგ-ის თანხა. ეს მოცემულობა არ ვრცელდება საანგარიშო პერიოდის ბოლო დღეზე, თუ საქონლის (გარანტირებული სიმძლავრის, ელექტრო ან თბოენერჯის, გაზის ან წყლის) მიწოდება ხდება რეგულარულად ან უწყვეტად. ამასთანავე, თუ პირი მიწოდებას აღრიცხავს საანგარიშო პერიოდის სხვადასხვა დღეს არა კალენდარული თვის, არამედ გარკვეული პერიოდის (ციკლის) განმავლობაში მიწოდებული საქონლის ოდენობის მიხედვით, რომელიც შეიძლება მოიცავდეს როგორც საანგარიშო პერიოდს, ისე საანგარიშოს წინა პერიოდს, ასეთ შემთხვევაში საანგარიშო პერიოდში მიწოდებულად ჩაითვლება საანგარიშო პერიოდის სხვადასხვა დღის მიხედვით აღრიცხული (გარკვეული პერიოდის (ციკლის) განმავლობაში მიწოდებული საქონლის ოდენობის მიხედვით აღრიცხული) საქონლის ოდენობა, მიუხედავად საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად მიწოდებულისა. ასევე, არაუგვიანეს ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლო დღისა, თუ მომსახურების განწვევა ხდება რეგულარულად ან უწყვეტად.

დავუშვათ, ორგანიზაციის მიერ რეალიზებულია 500 ლარის ე.წ. სასაჩუქრე ბარათი, განაღდება პერიოდი განუსაზღვრელი, რომელშიც არ არის დაფიქსირებული მისაწოდებელი საქონლის სახეობა და რაოდენობა. აღნიშნული ოპერაცია, ორგანიზაციის მიერ მიღებული ავანსი, არ დაიბეგრება დღგ-თ. რადგან საკომპენსაციო თანხის მიღების მომენტში არ არის განსაზღვრული მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა. შესაბამისად, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროს წარმოადგენს საქონლის მიწოდების და არა საკომპენსაციო თანხის მიღების მომენტი. აღნიშნული ოპერაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში უნდა აისახოს ფულადი საშუალებების ამსხველი ანგარიშების დებეტსა და მიღებული ავანსების ანგარიშის კრედიტში, ხოლო დღგ-ს გადახდის ვალდებულება ორგანიზაციას წარმოექმნება კლიენტის მიერ აღნიშნული ვაუჩერის გამოყენების მომენტში.

თუ საწარმოს, რომელიც ანხორციელებს როგორც საცალო, ასევე, სადილერო ვაჭრობას, ერთ-ერთ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად გახსნილი აქვს ე.წ. საკრედიტო ხაზი 30000 ლარი, მხარეთა შორის ანგარიშსწორებისას ხდება, როგორც მისაწოდებელი საქონლის საკომპენსაციო თანხის წინასწარ გადახდა, ასევე, მიწოდებულ საქონელზე არსებული დავალიანებების ანაზღაურება და საბოლოო ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხდება გარკვეული პერიოდულობით, ურთიერთშედარების საფუძველზე, აღნიშნული პირობებით წინასწარ გადახდილი თანხის (ავანსის) დღგ-თი დაბეგვრა არ განხორციელდება, რადგან თანხის მიღებისას არ არის განსაზღვრული იგი წარმოადგენს მისაწოდებელი საქონლის თუ მიწოდებულ საქონელზე არსებული დავალიანების საკომპენსაციო თანხას. აღნიშნულიდან გამომდინარე, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროს წარმოადგენს საქონლის მიწოდების მომენტი.

დავუშვათ, მყიდველ და გამყიდველ საწარმოს შორის 2016 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად გამყიდველმა აიღო ვალდებულება, რომ 2017 წლის 30 მარტამდე მყიდველს მიაწოდებს სხვადასხვა დასახელების (ხელშეკრულებით გათვალისწინებულ) 90000 ლარის ღირებულების სამშენებლო მასალას. მყიდველმა ავანსის სახით 2016 წლის 7 დეკემბერს აუნაზღაურა საკომპენსაციო თანხის ნაწილი – 50000 ლარი, რომელიც უნდა აისახოს ფულადი საშუალებების ამსახველი ანგარიშების დებეტში და მიღებული ავანსების ანგარიშის კრედიტში. სამშენებლო მასალების მიწოდება განხორციელდა ეტაპობრივად, 2016 წლის დეკემბერში 30000 ლარის, 2017 წლის იანვარში და მარტში შესაბამისად, 20000 ლარის და 40000 ლარის ოდენობით. მყიდველის მიერ თანხა სრულად ანაზღაურდა 2017 წლის თებერვალში. შესაბამისად, ბუღალტრულ აღრიცხვაში უნდა შემცირდეს მიღებული ავანსები და მიწოდებული საქონლის ღირებულება აღიარდეს შემოსავლად, რომელიც იმავდროულად, დაექვემდებარება დღგ-თ დაბეგვრას და აისახება „გადასახდელი დღგ“-ს

ანგარიშის კრედიტში. რეალიზაციის მომენტში უნდა მოხდეს მიწოდებული საამშენებლო მასალების ჩამონერა თვითღირებულებით.

მიუხედავად იმისა, რომ ავანსის ნაწილის გადახდა განხორციელდა 2017 წლის თებერვალში. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს საგადასახადო კოდექსით (მ. 309, ნაწილი 98) გათვალისწინებული შემთხვევა. მოცემულ შემთხვევაში, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ავანსის თანხის ნაწილი გადახდილი იქნა 2017 წლის 1 იანვრამდე და 2017 წლის თებერვალში. ავანსის თანხების დღგ-თ დაბეგვრის ახალი წესი, აღნიშნული გარიგების საფუძველზე განხორციელებულ ოპერაციებზე არ გამოიყენება და დღგ-თ დაბეგვრა მოხდება „ძველი პრინციპით“ ე.ი. გამყიდველი დასაბეგრ ოპერაციაზე დარიცხულ დღგ-ს თანხას დაადეკლარირებს 2017 წლის იანვარში და მარტში (საქონლის მიწოდების საანგარიშო პერიოდის) თვის დღგ-ს დეკლარაციით.

დავუშვათ, მყიდველსა და გამყიდველს შორის 2017 წლის 10 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, გამყიდველმა აიღო ვალდებულება, რომ 2017 წლის 30 მაისამდე მყიდველს მიაწოდოს სხვადასხვა დასახელების (ხელშეკრულებით გათვალისწინებულ) სამშენებლო მასალა, საერთო თანხით 35400 ლარი. მყიდველმა ავანსის სახით 2017 წლის 17 მარტს გადაუხადა საკომპენსაციო თანხა სრულად. საქონლის მიწოდება განხორციელდა ეტაპობრივად, 2017 წლის 25 მარტს სასაქონლო ზედნადებით მოხდა საქონლის მიწოდება, მოთხოვნების საერთო თანხა 23600 ლარია, ხოლო მაისის თვეში მიწოდებული საქონლით წარმოქმნილი მოთხოვნა 11800 ლარია.

საკომპენსაციო თანხის მიღების მომენტში განსაზღვრულია მისაწოდებელი საქონელი, მისი რაოდენობა და ღირებულება, მისაწოდებელი საქონელი (სამშენებლო მასალა) წარმოადგენს დღგ-თ დასაბეგრ ოპერაციას. შესაბამისად, დღგ-თ დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროს წარმოადგენს საკომპენსაციო თანხის მიღების მომენტი. სსკ-ს თანახმად მყიდველმა წინასწარ გადახდილი თანხა, ავანსი, დაბეგრა მარტის თვეში, გამონერა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და შესაბამისად ასახა ბუღალტრულ აღრიცხვაში შემოსავალი რეალიზაციიდან, გადასახდელი დღგ და საერთო თანხით შეამცირა მიღებული ავანსები.

სსკ-ს მოთხოვნების (მ.161) თანახმად, გამყიდველი ვალდებულია მიღებულ ავანსზე (საღირებულ ნაშთზე) გადაიხადოს დღგ. შესაბამისად, 31 მარტს ბუღალტრულ აღრიცხვაში უნდა აისახოს მიღებულ ავანსებზე გადასახდელი დღგ-ს დარიცხვა, მაგრამ იმის გამო, რომ ბასს და ფასს მიხედვით მიღებული ავანსები შემოსავლად არ აღიარდება, უნდა გახორციელდეს მაკორექტირებელი გატარება, ჯერ ერთი, მიღებული ავანსების დღგ-თ დაბეგვრის აღსარიცხავად ანგარიშს 3330 „გადასახდელი დღგ“ გამოეყოს ცალკე ქვეანგარიში „გადასახდელი დღგ მიღებულ ავანსებზე“ (მაგალითად, ანგარიში 3331), შემდეგ კი, 31 მარტს მოხდეს ამ ანგარიშის გადახურვა და მასზედ რიცხული თანხის გადატანა ანგარიშზე 3330 „გადასახდელი დღგ“, კრედიტში.

ანალოგიურად აისახება ბუღალტრულ აღრიცხვაში მაისის თვეში განხორციელებული ოპერაცია. საქართველოს საგადასახადო კოდექსის (მ.174) მიხედვით, მყიდველს აქვს უფლება გამონერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით მარტის თვეში ჩაითვალოს გადახდილი დღგ-ს თანხა.